



EEU- სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი



*დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 28
დეკემბრის ბრძანებით №56/01-08*

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი“ (შემდგომში – „წესი“) არეგულირებს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის სტიპენდიის გაცემისა და სხვა სახის წახალისების ღონისძიებების განსაზღვრის პროცედურებს.
2. წინამდებარე წესის მიზანია სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა, კონკურენტული სასწავლო გარემოს შექმნა და სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება, ხელშეწყობა.

მუხლი 2. სტიპენდიისა და წახალისების სახეები

1. უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო სტიპენდია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, სასწავლო გრანტი, წარჩინებულ სკოლადამთავრებულთა სტიპენდია, საბაკალავრო პროგრამის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა სტიპენდია მაგისტრატურაში, ერთჯერადი ჯილდო და სხვა სახის ინდივიდუალური წახალისებები;
2. საუნივერსიტეტო სტიპენდიას მოიპოვებს სტუდენტი ყოველსემესტრულად მიღწეული შედეგების საფუძველზე, მოქმედებს ერთი სემესტრის განმავლობაში და განისაზღვრება 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით;
3. სასწავლო გრანტი მოქმედებს შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:
 - ა) სოციალურად დაუცველ პირებზე;
 - ბ) ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები, ფერეიდნელი ქართველები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე;
 - გ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე;
 - დ) სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირებზე;
 - ე) აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე, რომლებიც აგრძელებს სწავლას შემდგომ საფეხურზე ამავე უნივერსიტეტში;
 - ვ) სხვა ცალკეულ შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილებით;

4. ბაკალავრიატის სტუდენტი, რომელსაც ზოგადი განათლება დასრულებული აქვს ოქროს ან ვერცხლის მედალზე, სარგებლობს უნივერსიტეტის სტიპენდიით, პროგრამის ხანგრძლივობის ვადით;
5. მაგისტრატურის სტუდენტი, რომელსაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხური დასრულებული აქვს საშუალო შეწონილი ქულით (GPA) 3,5 და მეტი, სარგებლობს უნივერსიტეტის სტიპენდიით პროგრამის ხანგრძლივობის ვადით;
6. ერთჯერადი ჯილდო მოიპოვება სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გამოჩენილი განსაკუთრებული აქტივობისთვის (მაგალითად, უნივერსიტეტის წარმოჩენა სპორტულ, კულტურულ, ინტელექტუალურ კონკურსებში, გამოფენებში, სამეცნიერო კონფერენციებში და ა.შ.)
7. უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის, სტუდენტური თვითმმართველობის მიმართვის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის ინდივიდუალურ წამახალისებელ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას;

მუხლი 3. სტიპენდიის დანიშვნის პროცედურა და შეფასების კრიტერიუმები

1. **საუნივერსიტეტო სტიპენდიით** სტუდენტთა დაფინანსება ხორციელდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების, სტუდენტურ საუნივერსიტეტო აქტივობებში აქტიური მონაწილეობისა და სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის საფუძველზე;
 - 1.1. *საუნივერსიტეტო სტიპენდია არ გაიცემა:*
 - ა) სტიპენდიის მიღების სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში;
 - ბ) წინა სასწავლო წლის გაზაფხულის/შემოდგომის სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;
 - გ) დამატებით სემესტრის სტუდენტზე;
 - დ) ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტებზე;
 - 1.2. აკადემიური მოსწრება გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სასწავლო სემესტრის განმავლობაში დარეგისტრირებულ სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო შეწონილი ქულით (GPA).

- 1.3. საუნივერსიტეტო სტიპენდიის მიღების შესაძლებლობა აქვთ სტუდენტებს, რომელთა ამ მუხლის 1.1. და 1.2. ქვეპუნქტების გათვალისწინებით, სემესტრული GPA (საშუალო შეწონილი ქულა) არის 3,5 და მეტი.
- 1.4. საუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნა ხდება ქულების რანჟირების მიხედვით (მაქსიმუმ 280 ქულა და მინიმუმ 245 ქულა), რომლის კრიტერიუმები დადგენილია შემდეგი სახით:
- ა) აკადემიური მოსწრების შედეგები განისაზღვრება საშუალო შეწონილი ქულით GPA, რაც მრავლდება 70-ზე (მაგალითად, სემესტრული 3,80 GPA დათვლის დროს შეადგენს 266 ქულას (მაქსიმუმი - 280 ქულა);
 - ბ) სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ საუნივერსიტეტო აქტივობებში (საჯარო ლექცია, სემინარი, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და სხვა) მაქსიმუმ 10 ქულა, რაც მრავლდება 10-ზე;
 - გ) სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში (კონფერენცია, გაცვლითი პროექტები, სტუდენტური პროექტები, იმიტირებული პროცესები, პუბლიკაციები და სხვა) მაქსიმუმ 10 ქულა, რაც მრავლდება 20-ზე.
- 1.5. სტუდენტურ აქტივობებში სტუდენტთა ყოველსემესტრულ აღრიცხვას ახორციელებს ფაკულტეტი და მას დახმარებას უწევს საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის, სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურები. ფაკულტეტის დეკანის მიერ დგინდება აქტივობების პრიორიტეტული ჩამონათვალი და მინიჭებული ქულები. ფაკულტეტი ამოწმებს სასწავლო სემესტრულ შედეგებს ელექტრონულ ბაზაში და ადგენს საუნივერსიტეტო სტიპენდიატთა სიას, რომელსაც წარუდგენს განათლების დეპარტამენტს. დეპარტამენტი ადგენს სიების შესაბამისობას ამ წესის მე-3 მუხლის 1.1, 1.2., 1.3., 1.4. ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან და სტიპენდიატთა ფინალური სია ფაკულტეტების შესაბამისად მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
2. **სასწავლო გრანტი** უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე შეიძლება მოიპოვოს მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულმა ყოველი ჯგუფის წევრმა უნივერსიტეტის კანცელარიაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. სასწავლო გრანტის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით;

3. სტუდენტები, რომელთაც ზოგადი განათლება დასრულებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედალზე, წარჩინებულ სკოლადამთავრებულთა სტიპენდიის მოპოვების მიზნით, უნივერსიტეტის კანცელარიაში აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან ორი კვირის ვადაში უნდა დაწეროს განცხადება, რომელსაც თან უნდა ახლდეს სერტიფიკატი ან უფლებამოსილი ორგანოს ცნობა მედლის გაცემის შესახებ.
 - 3.1. რექტორის ბრძანებით წარჩინებულ სკოლადამთავრებულ სტუდენტებს სტიპენდია უწესდება პროგრამის ხანგრძლივობის ვადით შემდეგი ოდენობით:
 - ა) ოქროს მედალოსანი სტუდენტი - სწავლის საფასურის 20% დაფინანსება;
 - ბ) ვერცხლის მედალოსანი სტუდენტი - სწავლის საფასურის 10% დაფინანსება;
 - 3.2. წარჩინებულ სკოლადამთავრებულ სტუდენტებს სტიპენდია უნარჩუნდებათ იმ სემესტრში, რომელშიც საშუალო შეწონილი ქულა (GPA) ექნებათ 3.0 ან მეტი.
4. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, რომელთაც ბაკალავრიატის საფეხური დაასრულეს საშუალო შეწონილი ქულით 3.5 და მეტი, სტიპენდიის მოპოვების მიზნით უნივერსიტეტის კანცელარიაში აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან ორი კვირის ვადაში უნდა დაწეროს განცხადება, რომელსაც თან უნდა ახლდეს დიპლომის დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი საშუალო შეწონილი ქულის აღნიშვნით.
 - 4.1. რექტორის ბრძანებით საბაკალავრო პროგრამის წარჩინებული კურსდამთავრებულს სტიპენდია სწავლის საფასურის 10% დაფინანსებით უწესდება პროგრამის ხანგრძლივობის ვადით;
5. ერთჯერადი ჯილდოს მოიპოვება სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გამოჩენილი განსაკუთრებული აქტივობისთვის (მაგალითად, უნივერსიტეტის წარმოჩენა სპორტულ, კულტურულ, ინტელექტუალურ კონკურსებში, გამოფენებში, სამეცნიერო კონფერენციებში და ა.შ.) და უნივერსიტეტის რექტორი სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ან ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს ერთჯერადი ჯილდოს მიმღებსა და ჯილდოს სახეს.
6. უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის ინდივიდუალურ წამახალისებელ დაფინანსების ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.